

8 ვაჭრი,  
17 გოლი

„ა“ კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის გუნდის გამართული მატჩები ასე დამთავრდა:

„ნეფტიანიკი“ — „შახტორი“ 2:0.

IV ტურში

„დინამო“ (კიევი) — „კრილია სოვეტოვი“ 4:0.

„პახტაკორი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:0.

„კაირატი“ — „ზენიტი“ 1:0.

ასკ (ოლესა) — „არარატი“ 0:3.

ასკ (როსტოვი) — „სპარტაკი“ 0:0.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — ცსკა 2:0.

აფასებანი

მწვრთნელები

ა. კობრიკაძე

(„დინამო“, თბილისი)

პირველი ტაიმი ქუთაისელთა შესრულებით (განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კუტივაძე) კარგი იყო და ინიციატივაც მათ ჰქონდათ. მაგრამ მატჩის ბედს მხოლოდ ნახევარდაცვა ვერ გადაწყვეტს: მისი დაწვეული საქმე თავდასხმელებმა უნდა გააგრძელონ. ასეთი გამგრძელებლები კი ტორპედოელთა შორის არ აღმოჩნდნენ. ამიტომ იყო რომ, როცა ხართივილიმა გააძლიერა თავისი კუტივაძის წინააღმდეგ, როცა მისი „ოპონენტი“ დიდალა, ჩვენს მოწინააღმდეგეს აღარ შერჩა წარმართველი ძალა და მეორე ტაიმში დინამოელებს მიეცათ უპირატესობის ხელში ადგების საშუალება. ამას გარდა, ჩვენმა თავდასხმელებმა მოძებნეს სუსტი ადგილები წიგნივამისა და ზარის სახით.

ქუთაისელთაგან გამოეყოფა კვანცხაძეს, ლოსაბერიძეს, ებრაელიძეს, ასიტაშვილს და, რა თქმა უნდა, კუტივაძეს.


ა. ნორაძე

(„ტორპედო“, ქუთაისი)


თავდასხმის პასიურობა — აი, ჩვენი გუნდის ძირითადი ნაკლი. ამას დევმატა შეცდომები დაცვაში, ნახევარდაცვლა გადასაყდრებელი ტაიმში, რომლებსაც ფორვარდები არ უშერდნენ მხარს არც იერიშის წარმოებისას, არც ღრმა დაცვაში უოფენისას. როცა რგოლების ეს აუცილებელი მონოლითურობა და შეთამაშება ირდევია, წარმატებაზე ფიქრი ძნელია.

ზარიამ დათუნაშვილს სრული ძალით თამაშის საშუალება მისცა, ხოლო ცენტრში არ იქნა მიღებული სპორტის წესები ბარქაიას მიმართ, რომელიც პარტნიორებს უქმნიდა თავისუფალი მოქმედების საშუალებას. მეტი იმედი გვქონდა ნოდარის, მაგრამ მან თითქმის ყველაფერში დაუთმო ბ. სიკინავას. მეორე ტაიმი მთლიანად თბილისელებსა იყო და როცა ასეთი ძლიერი მეტოქე 45 წუთი გიტევს, ძნელია მარცხს გადაურჩე.

დინამოელთაგან აღვნიშნავ ხურცილაძეს, ხართივილს, ბარქაიას.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებასა და ორგანიზაციების კავშირისა და კომუნალური რესურსების საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

№ 82 (3059)

27

1966 წ.

თბილისი


ფასი 3 კაპ.

გამოცემის 22-ე წელი

4:3



მოსკოვი, 26 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეცკორი). როგორც ცნობილია, პეტროსიანი — სპაიკის მატჩის VII პარტია გადაღებული იყო მსოფლიო ჩემპიონის დიდი უპირატესობით. დღეს თამაშის განახლების მეტოქეებმა 3-3 სულა გააკეთეს. სპაიკი დარწმუნდა თავისი პოზიციის უიმედობაში და მეტოქეს გამარჯვება მიულოცა. ამრიგად, ანგარიში გახდა 4:3 პეტროსიანის საპირველობლად.




პარაღა, 26 აპრილი. ბუქარესტის „დინამოს“ ფრენბურთელმა ვაჭებმა ვერობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიურ ტელის „დუკლას“ (კოლინი) სპორტსმენები — 3:2. ამრიგად, დინამოელები გავიდნენ ფინალში. სადაც შეხვედებიან ბუქარესტის „რაბინდსა“ და ცსკა-ს (მოსკოვი) შორის გამარჯვებულს (ამ გუნდების პირველი თამაში მოსკოვში სტუმრების წარმატებით აღინიშნა — 3:2. მეორე შეხვედრა გაიმართება 29 აპრილი ბუქარესტში).

ვოლგოგრადი, 26 აპრილი. მხატვრულ ტანვარჯიშითა საკავშირო ჩემპიონატში ყველას აჯობა კიეველმა ლ. პარადიევამ — 56,95 ქულა. „ვერცხლს“ დაეპატონა გროზნოელი ნ. ოგინიკოვა (56,80), ხოლო „ბრინჯაოს“ — მოსკოველი ტ. კრავეჩენკო (56,05). გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. რსფსრ, 2. მოსკოვი, 3. უკრაინა.

პარიზი, 26 აპრილი. საფრანგეთის დია ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდნენ მადიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატები და წარმატებითაც: წყვილთა სამეფო თაწრებში ისინი პირველი იყვნენ. ს. გრინბერგი და ს. პაისიარვი გახდნენ ჩემპიონები ქალებში, ს. პაისიარვი და ს. გომოზოვი — შერეულ წყვილებში, ხოლო ს. გომოზოვი და ა. ამელინი — ვაჭებში: ქალთა ერთეულების ფინალი ვერობის ამანწინანდელი პირველობის გამებრება იყო: უნგრელმა ე. კოცინანმა მოუგო ს. გრინბერგს — 3:0. ვაჭებში უძლიერესი იყო იუგოსლავიელი ი. კორბა.

ნაპოლი, 26 აპრილი. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა ა. მეტრეველმა შევცდილ მ. პეგელთან ერთად ყველას აჯობა შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. ქალთა ტურნირში საუკეთესო იყო მ. ნიხინი (გურ), ხოლო ვაჭებში — ნ. პიეტრანჯელი (იტალია). საბჭოთა ჩოგბურთელები გაემგზავრნენ ბოლონიას, სადაც 28-ში აპრილს დევების თასის გათამაშების პირველ მატჩში შეხვედებიან იტალიის ნაქრებს.

სოფია, 26 აპრილი 2 000 მეტრის სიმაღლიდან შესტად წრის ცენტრში დაეწყო კომბინირებული ნახტომის შემდეგ (პარაშუტის გახსნის დაყოვნებით) ბულგარელი სპორტსმენი რ. მედლიჩევი. ეს გამოერება ჩეხოსლოვაკიელი პარაშუტისტის ი. ველიჩის მსოფლიო რეკორდისა, რომელიც მან დაამყარა 1963 წელს.



სურათზე: საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ს. სხირტაძე ტაიჭე ვარჯაშისას.

...მეორე ტაიმიში

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 26 აპრილი. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3:1 (1:1). „დინამო“ კობრიკაძე, ბ. სიკინავა, ჰელიძე, ხურცილაძე, პეტრიანივილი, ხართივილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ასათიანი, ბარქაია, მასიურაძე. „ტორპედო“ კვანცხაძე, ლოსაბერიძე, წიგნივაძე, ებრაელიძე, ზარი, კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტივილი, ხაუალია, გ. ნოდია, მსაჯი ვ. ბაბუშკინი (მოსკოვი).

ძნელი სათქმელია, რატომ დიდალა გუნდის მატჩი მეტოქეებმა ასე დუნედ და დაბალ ტემპში. მინდორზე უმთავრესად სიწყინარე სუფევდა, ორივე გუნდი ერთდროულად გამწვავებას, სისწრაფეს და სავაზო ხნის განმავლობაში ბურთი ტრიალებდა მინდორის შუაგულში, ორ საჯარბო მოედანს შორის.

ფაქტიურად ეს იყო ბრძოლა „დინამოსა“ და „ტორპედოს“ ნახევარმეცხელებს შორის. იგი საკმაოდ პრინციპულ ხასიათს ატარებდა და თანდათან გამომიკვდა, რომ ქუთაისელთა გუნდში ეს რგოლი ყველაზე ძლიერია. ასიტაშვილი თამაშობდა ძალზე აქტიურად, ვერცულ ტერიტორიაზე, ხოლო კუტივაძე უსუსტი გადაცემებით არა მარტო განაგებდა თავისი თავდასხმელების მოქმედებას, არამედ თვითონაც სწორად მონაწილეობდა შეტევის დასრულებით სტადიაში.

ამ მონოტონურ თამაშში პირველ გოლს თითქოს მოულოდნელი ხასიათი ჰქონდა. დინამოელებმა 33-ე წუთზე გაითამაშეს საჯარბო, რომელიც ძლიერი დარტყმით დამთავრა ლიად დარჩენილმა დათუნაშვილმა — 1:0.

ეს გოლი ტორპედოელებმა გაჭვიტეს ტაიმის დასასრულს. კუტივაძემ წამოიწყო მორიგი კომბინაცია, შემდეგ ვე-

კუა გაიჭრა — თავის ფლანგზე. ბურთი საჯარბო მოედანზე ჩაწოდა და ჩხარტივილმა ბადეში გაგზავნა იგი.

თანაბარ ბრძოლაში გარდატეხა მეორე ტაიმიში მოხდა კუტივაძე დინამოელებმა საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს (ხართივილი), რამაც „ტორ-

პედოს“ თამაშს მევერთად მოუსპო აგრესია. ქუთაისელთა ორი ცენტრალური თავდასხმელი პასიურ მოწყობად იქცნენ, თანაც წიგნივაძე და ზარია სწორად უშეგებდნენ შეცდომებს. „დინამოს“ შეტევებს ძალიან სახიფათო ხასიათი მიეცა, რის შედეგადაც კვანცხაძეს ზედმედ უხდებოდა თამაშში ჩაბმა. მეორე გოლის ავტორი გახდა ასათიანი, რომელმაც კარგად გამოიყენა დათუნაშვილის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი და თავით გაიტანა იგი, ხოლო 39-ე წუთზე მასიურაძემ მესამე გოლი მოათავსა მეტოქის კარში.

რ. შირიძე.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 აპრილისათვის

კლუბი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	4	3	1	0	9	7
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	4	3	1	0	5	1
„არარატი“ (ერევანი)	4	2	2	0	7	2
„ტორპედო“ (მოსკოვი)	4	2	2	0	7	3
„წაჯანსაღი“ (ბაქო)	4	2	2	0	3	6
ბსპ (როსტოვი)	3	2	1	0	4	0
„დინამო“ (თბილისი)	4	2	1	1	6	3
„პახტაკორი“ (ალმა-ათა)	4	2	1	1	5	4
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	4	1	3	0	3	2
„ჩარნომორცი“ (ოლესა)	3	1	1	1	2	2
ცსკა	4	0	3	1	2	4
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	4	1	1	2	2	3
„დინამო“ (მოსკოვი)	3	1	0	2	1	3
„ტორპედო“ (ქუთაისი)	4	1	0	3	5	2
„შახტიორი“ (დონეცკი)	4	1	0	3	1	5
„პრ. სოვეტოვი“ (კუბინოევი)	3	0	2	1	0	4
„დინამო“ (მინსკი)	4	0	1	3	2	7
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	3	0	0	3	1	5
ბსპ (ოლესა)	3	0	0	3	0	6

გუზინ...

თბილისში შედგა საქართველოს ჩემპიონის წოდებაზე ა. ბუსლავე — რ. ჯინჯიბაშვილის საქართველო მატჩის III პარტია. იგი გადაიღო საყაიშო პოზიციამში.

მიმდინარეობს გოლაპარაკება

მოსკოვი, 26 აპრილი. სსრ კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციები შეთანხმდნენ ევროპის I ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ვალებზე. 1967 წლის 28 მაისს მეტოქენი ერთმანეთს შეხვედებიან მოსკოვში, ხოლო 15 ოქტომბერს — ვენაში. ასლა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოეთისა და ფინეთის ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებსთან, რომლებიც აკრძალენ შედგენილი კონტინენტის ჩემპიონატის III შესარჩევი გუნდში.

დედანი გადარჩა, ასლი მოიპარეს

ლონდონი, 26 აპრილი. აქ გამოცხადდა, რომ კვლავ მოიპარეს „ოქროს ქალღმერთის“ ქანდაკება. მაგრამ, საბედნიეროდ, ამჟამად დაპარაკა არა დედანზე, არამედ ასლზე, რომელიც გამოფენილი იყო ფეხბურთში უოფილი სერთაშორისო მხაჯის, 67 წლის უოლტერ როს-ჰუეერის სპორტული საქონლის მაღაზიის ვიტრინაში.

# ქვეყნის ნიშნები

ერთიანი  
გიგანტობა

სპორტულ ტანმოვარჯიშეთა საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაში სპორტსაზოგადოებათა და უწყებების ნაერები კოლექტივები მონაწილეობდნენ. ვაჭვში თავიდანვე დაწინაურდნენ დინამიკები, რომლებმაც ბოლო დღემდე შეინარჩუნეს უპირატესობა და პირველი ადგილი დაისაკუთრეს. მწვავე ბრძოლით აღინიშნა ქალთა ტურნირი, აქ გამარჯვებული მხოლოდ ბოლო იარაღზე ვარჯიშმა გამოავლინა.

ჩემპიონატში არ მონაწილეობდა „დინამოს“ გუნდის ლიდერი ა. ჯანუყაშვილი. საქმე ის არის, რომ ტანმოვარჯიშის საკუთრივ ფედერაციამ ჩვენი ქვეყნის ნაერების კანდიდატთაგან დაგვმა შევიბრუნებია გარკვეული ციკლი, რომლის ძალით კანდიდატებს სხვა შევიბრუნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ. მაგრამ ფედერაციის გადაწყვეტილებით, იმ ორგანიზაციას, რომელმაც ნაერების კანდიდატები ირჩევს, მარშანდელ ჩემპიონატში ამ კანდიდატთა მიერ ნარევი შედეგი ეწერება. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება და რეპუტაციის სპორტკავშირის გარდამავალი თასი ა. ჯანუყაშვილის თანაკლებულს — დინამიკებს დარჩათ.

დოსანი სტუდენტი ც. ჭკალუა საპატიო კვარცხლობის უმაღლეს საფეხურზე აღიდა. გამარჯვებულის შედეგია 74,55 ქულა. II ადგილი ბაბუნაშვილს დარჩა, ხოლო III — „ბურევესტიკის“ გუნდის წევრს ნ. ბანძელაძეს.

პირველთაწილის ვაჭვში გაიმარჯვა განათლების განყოფილების წარმომადგენელმა ნ. ჯოჯუამ (103,05 ქულა), ქალთა შორის კი დინამიკელმა ნ. პაპინაშვილმა — 71,35.

ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ერთი ჯგუფი შევიბრუნებდან შევიბრუნებამდე სისტემატურად აუმჯობესებს ტექნიკურ შედეგებს და კომპოზიციურად სრულყოფს ნებისმიერ ვარჯიშებს. პირველ ყოვლისა, ეს ეხება რ. ჭინჭარაძეს, მ. ჩარხიანს (მწვრთნელი ნ. მახვილაძე), ს. სხირტლაძეს, ი. ნინოშვილს (მწვრთნელი გ. ბურჯანაძე) და სხვ. სასიხარულოა ისიც, რომ საგრძნობლად გაიზარდა შესრულებულ ვარჯიშთა სირთულე, განსაკუთრებით ქალებში. მოვიყვანო ერთ ფაქტს: 1965 წლის ნოემბერში სსრ კავშირის პირველობის ფინალისტებიდან დღევანდელ უმაღლესი ჯგუფის ვარჯიშების შესრულება მხოლოდ ერთ-ერთმა გაბედას. მას შემდეგ გავიდა სულ რაღაც ხუთი თვე და აი, საქართველოს პირველობის ფინალისტთა აბსოლუტურ უმრავლესობას უკვე ათეისებული აქვს რამდენიმე უმაღლესი ჯგუფის ილეთი და ნაერები.

საერთო წინსვლის ფონზე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ზოგიერთი ხარვეზიც. მაგალითად, ვაჭვა ბუნებრივ სტიმების დახვეწილ შთაბეჭდილებას არ ტოვებს: არც ერთი თანამედროვე რთული ნახტომი ხარისხიანად არ იყო შესრულებული. რაც შეეხება სხვა იარაღებს, აქ იშვიათად თუ ნახვდით ახალ ორიგინალურ ილეთსა თუ ნაერს. გაძლიერებას მითითებს ვარჯიშთა დამოლოებები როგორც იარაღებზე (განსაკუთრებით, ღერძზე), ისე თავისუფალ ვარჯიშში.

ჩემპიონატის ნაკლად მივგაჩნია ისიც, რომ მასში მონაწილეობა არ მიიღო საქართველოს ერთ-ერთმა მოწინავე ოსტატმა ნ. ბოგუაძემ.


შევიბრუნა ჩატარდა მაღალ ორგანიზებულ ღონისძიება (მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. ფსაკაძე).

**მ. კორძია,**  
სპორტის ოსტატი.

**ს უ რ ა თ ე ზ ე:** გამარჯვებულთა კვარცხლობაზე დგანან (მარცხნივ) — ჩემპიონი ც. ჭკალუა, II პრიზიორი ნ. ბაბუნაშვილი და III პრიზიორი მ. ბანძელაძე; (მარჯვნივ) — ჩემპიონი ს. სხირტლაძე, II პრიზიორი ი. ნინოშვილი და III პრიზიორი შ. აზარაშვილი.

**ფოტო. თ. ჭინჭარაშვილისა.**

ჩვენი ვაჭვის ა. წ. 24 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული თ. კორძიას წერილის ბოლოში მოყვანილ ტექნიკურ შედეგებში დაშვებული შეცდომა. სინამდვილეში, თბილისელმა ტანმოვარჯიშე პ. შამუგიამ მეორეთაწილისათა შორის III ადგილი დაიკავა.



## წინსვლის მიუხედავად

ჩატარდა ქუთაისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის IV საქალაქო კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე კლუბის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ილაპარაკა ქალაქის ფიზკულტურულთა წარმატებებზე, აღინიშნა, რომ დროულად და გადაჭარბებით შესრულდა თანრიგის ნებისა და ნიშნისების მომზადების გეგმები, ფიზკულტურულ კოლექტივთა რიცხვი 195-მდე გაიზარდა. ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლები ნაყოფიერად მუშაობენ მოზარდი თაობის სპორტულ უბურებაში ჩაბმისა და დასტატებისათვის.

გაიზარდა უფროსი და საშუალო ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფების რიცხვი.

კარგად იმუშავა ტურისტულმა კლუბმა „ოქროს ჩარახმა“, რომელიც ხშირად აწყობდა ტურისტულ მოგზაურობებს ფიჭვს, მატარებელი თუ მანქანით.

ნიქემ (პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზალზრდის კათედრის გამგე) და სხვ. ნაკლოვანებებზე ილაპარაკეს — აღინიშნეს, რომ ქალაქში კვლავ იგრძობა კვალიფიციურ მწვრთნელთა სიმცირე, განსაკუთრებით, ახალდენერგულ სახეობებში — წყალბურთში, ნიჩბოსნობაში, ბადმინტონში. საწარმოთა უმრავლესობას არ გააჩნია სპორტული დარბაზები, დირექციები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საწარმო ტანმოვარჯიშის დანერგვას. არ უწყობენ ხელს ფიზკულტურულ კოლექტივებს.

### ანბარისუბა-არჩმენი

საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს: „განთიადს“, „სპარტაკს“, „დინამოს“, „ლოკომოტივს“, განათლების განყოფილებას და სხვ.

კონფერენციამ მოისმინა სარეგიონო კომისიის თავმჯდომარის ი. გოგოლაშვილის მოხსენება.

შემდეგ დაიწყო კანათი.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა — ა. ჩოგოვამ („დინამოს“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), გ. ნილაშვილმა (№ 4 პროფკმუნიაკური სასაჯებლის დირექტორი), გ. ბურჯანაძემ (ფიჭვბურთის ცენტრალური სტადიონის დირექტორი), გ. აფრიდო-

შემდეგ გაიმართა სპორტკავშირის საქალაქო საბჭოსა და სარეგიონო კომისიის არჩევნები. აირჩიეს, აგრეთვე, საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დეიგატები.

გაიმართა I პლენუმი, რომელმაც ქუთაისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ლ. ასკელიანი აირჩია.

**შ. ნიშარაძე,**  
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

## წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა: **ფარეჯოვაშვილი** — ნ. ასათიანს (თბილისის „დინამო“).

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის საპატიო ოსტატის წოდება მიენიჭა: **სამოხი** — კ. ტატუნაშვილს (ქასპის „კოლმეურნი“), თ. ჭყონიას (ქობულეთის „კოლმეურნი“), რ. ჯაფარიძეს, ე. სავინაშვილს, გ. კეთილაძეს, ა. ჭიქაძეს (ყველა — თბილისის „ბურევესტიკი“); **სახანრო** — გამოყენებით სპორტში — ს. კირკიტაძეს (ტყეპლის „სპარტაკი“); **ჩოგბურთში** — ბ. სენხუროვს (თბილისის „დინამო“), გ. საბაშვილს (თბილისის „განთიადი“), გ. შავლისს (თბილისის „ლოკომოტივი“).

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის საპატიო ოსტატის წოდება მიენიჭა: **საცხენოსნო სპორტში** — ლ. ხოფერიას (სოხუმის „კოლმეურნი“).

**ფოთელი სპორტის მოყვარულები კარგ საჩუქარს მიიღებენ** — აქ მწყობარში ჩადგება წყალქობარობის ახალი საღგური.

**ს უ რ ა თ ე ზ ე:** მთავარი ინჟინერი კ. კუცია (მარჯვნივ) და ფოთის სპორტკავშირის თავმჯდომარე თ. კემულარია ათვალეებენ წყალქობარობის საღგურის პროექტს. ფოტო მ. ზარგარიანიასა. (ჩვენი სპეც. კორ.).

**● ახალგაზრდა ტანმოვარჯიშენი იპედს იკლავიან**

**● გინისხილადებს საასპარეზო ექნებათ!**

**● თელავი**

**● გეგაპკორი**


„კოლმეურნის“ რაისბჭოს მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში უძლიერესი აღმორჩა სოფელ ნავახაოს კოლმეურნეობის ნაერები (ქ. სიგულა, ა. ფირცხალავა, ა. კვანტლიანი). II ადგილი წილად ხვდა გეგაპკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, III — გეგაპკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს.

**3. ლაშანაშვილი.**

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციამ მიიღო წერილი გორის რაიონის სოფელ ტინისხიდის ახალგაზრდობისგან: ფეხბურთის მოყვარულები დახმარებას ვგთხოვდნენ. საქმე ის არის, რომ მათთვის გამოყოფილი საფეხბურთო მოედანი გაურკვეველი მიზეზებით ისევ ჩამოერთვათ. ამრავად ტინისხიდელებს წლებიანდელ შევიბრუნებში მონაწილეობის საშუალება მოეპოვება.

**როგორც** საქართველოს ალკა გორის რაიონის მდივანი ვ. სუბიშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა. ამჟამად ტინისხიდის კოლმეურნეობის გამგეობამ ახალგაზრდებს გამოუყო ადგილი სპორტული მოედნისთვის.



ფოთელი სპორტის მოყვარულები კარგ საჩუქარს მიიღებენ — აქ მწყობარში ჩადგება წყალქობარობის ახალი საღგური.

# მეტალურგთა ქალაქის ფაქტობრივი

მეტალურგიული ქარხნის ფიზიკულტურის სახლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ და კლასიკურ ქილაობაში.

თავისუფალ ქილაობაში წინითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. მენაბდიშვილი, ზ. ჯაბახიძემ, სპორტის ოსტატმა პ. ჯიხაძემ (ყველაზე — მეტალურგიული ქარხანა), რ. გრიგოლაშვილი, ა. ტყეშელაშვილი (ორივენი — ქიმიური კომბინატი), გ. ჩაქაძე (მეტალურგიული ქარხანა), თ. ხინილაშვილი („სპარტაკი“) და ა. პა-

პუაშვილი (მეტალურგიული ქარხანა).

კლასიკური სტილის მოქიდავეთა ტურნირი შედგა წინით კატეგორიაში ჩატარდა (მძიმე წონაში მონაწილეები არ გამოუსულან). I ადგილები მოიპოვეს: ზ. ლოცულაშვილი (მე-2 სკოლა), რ. გოგოლაძემ (მე-14 სკოლა), გ. კანანაძემ (მეტალურგიული ქარხნების დარბაზების სახელმწიფო ინსტიტუტი), ი. ბროლიძემ, ნ. რევიანიძემ, გ. ჩაქაძემ და თ. გილაშვილი (ყველა — მეტალურგიული ქარხანა).

საერთო გუნდურ ჩათვლაში (როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ქილაობაში) ყველა აჯობეს მეტალურგიული ქარხნის სპორტსმენებმა (მწვერვლი ვ. აბუაშვილი).

რ. ზაბრიძემ (ჩვენი კორ.) რუსთავი.

სურათზე: უმატესი წონის ათლეტა ა. მენაბდიშვილის (დვას) და ზ. ლოცულაშვილის შეხვედრის მომენტი თავისუფალ ქილაობაში. გაიმარჯვა მენაბდიშვილი.

ფოტო ავტორისა.



## ოთარ ავალიშვილის სახელობის

კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე მოეწყო თბილისის კალათბურთულ ქალთა და ვაჟთა გუნდების ტურნირი დიდ სამამულო ომში დაღუპული სპორტსმენის, ცნობილი კალათბურთელის ო. ავა-

ლიშვილის სახელობის პარკზე. ჩვეულებრივი ტურნირისგან განსხვავებით, ეს შეჯიბრება „ელებიური სისტემით“ ჩატარდა (მატჩის ხანგრძლივობა 20 წუთი, წაგებული გუნდი ეთიშებოდა ასპარეზობას).

ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ „დინამოსა“ და „ბურჯესტნიკს“ ახალგაზრდული შემადგენლობები. გაიმარჯვა „ბურჯესტნიკმა“ — 37:31 (14:17). ქალთა ფინალში იბრძოდნენ უნივერსიტეტისა და „ბურჯესტნიკის“ კოლექტივები. აქ უპირატესობა უნივერსიტეტს მიეძღვნა მხარეს იყო — 24:21 (16:18).

მ. ჯაბრიძე, რესპუბლიკური კატეგორიის მსახი.

## „...სულ მცირა რამ — სათამაშო მიწოდორი“

ყოველდღიურ ხარვედაქციო ფოსტას მშორად მოაქვს წერილები, რომელთა ავტორები, ძირითადად სოფლის ახალგაზრდობა, უნივის სპორტული მუშების უქონლობას.

ცნება — სპორტული ბაზა — საკმაოდ ვრცელია და მეთვალყურეში, შეიძლება, შექმნას რაღაც რთული კომპლექსური საგებობის წარმოდგენა. მაგრამ ჩვენს მიერ აღნიშნული კორუს-პონდრეცეში ლაპარაკი არაა ლეონიკის ტიპის გიგანტებზე. არაა სოფლის ახალგაზრდობა, მოსწავლე თუ კოლმეურნი-სპორტსმენები ადგილობრივ თავდაცვით უნივის იმას, რომ მათ არა აქვთ სრულიად ელემენტარული, მარტივი ტიპის ფეხბურთის სათამაშო მიწოდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, საჭიდაო სარბიული. ზოგიერთ წერილში ასე წერია: „მანსამპარაპულს პრამის მისწავლეთ. მიწოდორი“ ეს მძიმე რამ — სათამაშო მიწოდორი“. ეს სიტყვები მით უფრო გულსაკვირია, რომ ბევრ ადგილას ახალგაზრდებს საკუთარი ძალებით გაუკეთებიათ მოედნები, კოლმეურნების გაშვების კი „მოსწონებია“ იგი და... სახსრად გადაუქცევია.

სურნელს გაზაფხულზე, აყვავების, მაგრამ თუ აყავია ასე უყვართ ალის-უბანში, დავრგათ იგი ფეხბურთის მიწოდორის გარშემო, სტადიონის შესასვლელში. ლამაზი იქნებოდა და სასარგებლოც. ასე არაა, აღნიშნული თავ-კაცებო?

აი, წერილი ონის რაიონიდან. მისი ავტორებია სოფელ გლეხის ახალგაზრდები.

„ჩვენს მიერ მოწყობილი ფეხბურთის სათამაშო მიწოდორი კოლმეურნების გამეგებამ გადგინა (თუმა ადრე ამ ადგილით იგი არ სარგებლობდა), სამაგიერო კი არ გამოგვიყო“.

## პიონერთა პარკის ბილიკაზა

ბათუმში, ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში, ორ დღეს გრძელდებოდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთა-

ვისაღმი მიძღვნილი შეჯიბრება — „განთავის“ საოლქო საბჭოს პირად-გუნდური ასპარეზობა მსოფლიოს კრისში. სტარტზე გამოვიდა 12 ფეხბურთელი კოლექტივის 300 მუშა-მოსამსახურე.

500 მეტრზე ქალთა რბენაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ქარხანა „ელექტროხელსაწყოების“ წარმომადგენელი ნ. მაიორიძე — 1.29,0.

1000 მეტრზე ვაჟთა ასპარეზობაში 236 სპორტსმენს შორის ყველას აქოდა მანქანათმშენი ქარხნის გუნ-

დის წევრმა მ. ხაჩატურიანმა — 3.05,0.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „ელექტროხელსაწყოების“ მძღველებმა.

ო. მურვანიძე, (ჩვენი კორ.) ბათუმი.

## ახალი აქტივი

● **ლენინი**, 25 აპრილი. აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის საუკეთესო მსროლელთა შეჯიბრება. გაქცეულ „ირმას“ და „შედეგ“ სროლის შემდეგ შემოაღეს ახალი სახეობა — „გაქცეულ ტახტზე“ სროლა. და აი, დაიბადა პირველი საკავშირო რეკორდი ამ ახალ სახეობაში. ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონმა ა. ბუცისმა (ლატვია) მოაგროვა მან 3 ქულა, რაც 11 ქულით აღემატება რეკორდის რეგისტრაციისთვის დაწესებულ ხაზის ნორმატივს.

● **დელი**, 25 აპრილი. ინდოეთის ხუთი მთამსვლელი ავიდა მწვერვალ კოტპახზე (პიმალი), რომლის სიმაღლე 6,5 კილომეტრია. ამ მწვერვალზე უკანასკნელი ასვლა ინდოეთის არმიის ექსპედიციამ განახორციელა 1962 წელს.

● **ბუქარესტი**, 25 აპრილი. აქ იწყება VII საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ლეინგრადულ დიდოსტატს გ. კორჩნოს მოუწევს შეხვედრები რუმინეთისა და იუგოსლავიის ჩემპიონებთან, დიდოსტატებთან ფ. გორგუესთან და მ. მატულოვიჩთან. შეჯიბრებაში მონაწილეობენ აგრეთვე მულგარეთის, პოლონეთის ისრაელის, კუბისა და ჩეხოსლოვაკიის ოსტატები.

დის წევრმა მ. ხაჩატურიანმა — 3.05,0.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „ელექტროხელსაწყოების“ მძღველებმა.

ო. მურვანიძე, (ჩვენი კორ.) ბათუმი.

## მოზარდთა ტურნირი

დაიწყო I ეტაპის თამაშები ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამსახრებელი გუნდებისა და სპეციალიზებული სკოლების ნორჩ ფეხბურთელთა შორის. მოგვყავს ამ მატჩების ტექნიკური შედეგები.

**I ეტაპი:** ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:2, ინტერნატი № 2 (გლდანო) — „მეშახტი“ (ტყბიული) 0:0, „სროლითი რეზერვები“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2:2.

**II ეტაპი:** „დინამო“ (თბილისი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 2:1, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — „კოლხიდა“ (ფოთი) 1:1, „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:1, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — განათლების განყოფილების სპორტსკოლა (თბილისი) 1:1.

# დ. ბრუნშტიინის „აღმდენა“

დიდოსტატი დ. ბრუნშტიინი შესანიშნავი მთაბურთეა. მასთან შეხვედრა მუდამ საინტერესოა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დიდოსტატმა ს. ფლორმა მიიზარა „ჩვენს დღეს“ (ასე ვახსიან სახელმწიფო მთაბურთეებს ახლობლები) ახალი „აღმდენა“ აქვს, მის ვენება დაგვარგვ.

და აი, პრეს-ცენტრი გამოჩნდა ტანმორჩილი, მომდინარე დ. ბრუნშტიინი ხელში ვეება ჩანთა ეჭირა. რომ მოიყალა, ვთხოვე, თქვენი „აღმდენა“ გამოიზარეთ-მეთქი. დიდოსტატმა გაიღიმა და „შანაბნა მისკვა“ გამოთქვა.

— ისეთი არაფერია. აი, გახეთი, აქ ყველაფერია ახსნილი. მხოლოდ იყო დეტი, ჩემს „აღმდენაში“ იუმორიკ არის.

დ. ბრუნშტიინს საკმაოდ მოზრდილი წერილი მიუძღვნია პეტროსიან-სპაკის მატჩის სტარტისთვის. ბევრი ღრმა აზრი გამოუთქვამს, დიდი ჭებით იხსენიებს მ. ბოტვინიკს, რომელიც თანამედროვე მოჭადრაკეების ძალის ეტალონად მიიჩნია. წერილი მთავრდება „აღმდენით“, რამაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქართველოში.

აი, სახელმძღვანელო, რას წერს დედა-მოსილი დიდოსტატი:

„ახლა (მატჩის სტარტის წინ) არა ვინ ლაპარაკობს იმაზე, თუ ვინ გაი-

მარჯვებს — პეტროსიანი თუ სპაკი. შემთხვევითია ეს? პო და არც თუ სასას თავიანთსმეცემლები არ გამოიხსნდებიან და პატარა იუმორის უღლებას მომცემენ, თავს ნებას მივცემ გავაკეთო საჭადრაკო ამინდის მცირეგადიანი პროგნოზი. მე ვეყრდნობი ციფრებს, მხოლოდ ციფრებს.

ჩემი საჭადრაკო გიროსკოპი შეაჩანახო:

რომ 1975 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდება ბენტ ლარსენი, რომ მას მოუწევს 1972 წლის მსოფლიო ჩემპიონის ვიქტორ კორჩნის დამარცხება,

რომ კორჩნი, თავის მხრივ, მაღალ წოდებას წაართმევს 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონს რობერტ ვიშერს,

რომ ფიშერი ორთაბრძოლაში მოუგებს 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონს ბორის სპაკის, რომელიც...

ოი, გონი ბევრი! შედეგები ვთქვამ გიროსკოპით კი ციფრებს.

მსოფლიო ციფრები: საიდუმლო შესაგება უდრის 9-ს. ეს ფიდე-ს მაგიური რიცხვია, „პრეტენდენტის“ რიცხვი. „ჩემპიონის“ რიცხვი კი უდრის 10-ს. თავად იმსჯელოთ: მ. ბოტვინიკმა ა. ალიოხინთან მატჩზე ხელშეკრულებას 1939 წელს მოაწერა ხელი და იფიცი-

ალური პრეტენდენტი გახდა, ხოლო ჩემპიონის წოდება მოხვეჭა 1948 წელს პრეტენდენტთა ტურნირში — 9 წლის შემდეგ.

გ. სმისლოვი პრეტენდენტთა ტურნირში პირველად 1948 წელს იბრძოდა, ჩემპიონის წოდება კი 9 წლის შემდეგ, 1957 წელს მოიპოვა. მას რომ მატჩ-რეგამში შენარჩუნებინა ეს წოდება, გამართლებოდა ჩემპიონის რიცხვი — 10.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1948 წლის ტურნირი ვაიკიანურს. იგი 1947 წელს რომ ჩატარებინათ, მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა პ. კერესი. მან 1938 წელს ფაქტობრივად მოიგო პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ა. ალიოხინი, ხ. კაპაბლანკა, მ. ეივე, მ. ბოტვინიკი, რ. ფაინი, ს. რემსესი და ს. ფლორი! პ. კერესი აცდა თავის რიცხვს და მას შემდეგ სულ მეორეა.

კარგი იქნებოდა ჩემი გამოანგარიშება ამით დამემთავრებინა, მაგრამ არა, როცა მე მსვლა წილად ბედნიერება მეთამაშა მატჩი, 27 წლისა ვიყავი (9x3), ხოლო, როცა მ. ტალმა ცხრიის ნაცვლად მთელი გზა სამ წელიწადში განვლო, მაშინაც 9:3=3. ამიტომაც ამბობენ, რომ ტალის კარიერა გადის-ნური იყო, მან ყველა ვადა დაარდგაო.

სამაგიეროდ, ტ. პეტროსიანმა პრეტენდენტთა ტურნირში პირველად 1953 წელს მიიღო მონაწილეობა. 1962 წლის ტურნირში I ადგილი დაიკავა, მსოფლიო ჩემპიონი კი გახდა 1963 წელს — 9 წლის შემდეგ!

ბ. სპაკის დებიუტი პრეტენდენტთა ტურნირში შედგა 1956 წელს, პრეტენდენტთა ყველა მატალია მოიგო 1965 წელს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონი 1966 წელს გახდება. ფიშერი ამ შემთხვევით რომ გამოეყო 1966 წლის ციფრს. იგი გამოყვლილი ქირომანტია და იცის, რომ არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი. სამაგიეროდ, 1959 წელს თუ-სოფლიო ჩემპიონი დებიუტის შემდეგ ძნელი არ არის გამოთავარიშო მისი „ჩემპიონის წელი“ — 1968! მანამდე, მომდევნო ციფრს ფიშერი ითამაშებს თავიდან ბოლომდე, ვინაიდან ჩემპიონის ადგილი შემდგომში დაკავებულია!

კურასოს დებიუტანტი გ. კორჩნი გაიმარჯვებს 1971 წელს, პრეტენდენტთა 1965 წლის მატჩების გმირს ბ. ლარსენს შეუძლია იმედები იქონიოს 1974 წლისთვის...

ჯერჯერობით სხვას ვერაფერს ვიტყვით. იმის გამო, რომ ჯერ არ გავაანია ცნობები 18 და 27 წლიანი ციფრების შესახებ, ადვილად შეიძლება შევცდეთ...

ვიმედოვნებ, რომ შეითხველი მკაცრად არ გამოკვირავ ჩემი ართიმეტრული გამოანგარიშებისთვის. მასში, სინამდვილე რომ ათქვას, არის საღი მარცვალი. შეიძლება მინიმუმაც, თუ მსოფლიო ჩემპიონის საჭადრაკო ოლიმპიად მხოლოდ 9 წლის ბრძოლის შემდეგ შეიძლება ახვიდე. ხომ არ არის სილონი ნაგები ფიდე-ს მეთაღ ხისტემა?

რას იტყვი... ძველ წესს რომ დავუბრუნებთ? მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკე გამოიწვევს მსოფლიო ჩემპიონსა და ცხარე ორთაბრძოლაში შევცდება ტიტული წაართვას.

წინააღმდეგა ვინმე? პირადად მე მომხრე ვარ“.

უდავოდ საინტერესო ცდაა, მაგრამ ყველაფერი ეს ნაკლებ დასაჯერებელია. ალბათ, აქიტომ ზურზობდა ს. ფლორი: ჩვენს დღეს შეეძლოა ვითარათ, ვინ იქნება ჩემპიონი, მაგრამ როგორ დამთავრდება გარკვეული პარტია, არ იცის!

როცა დ. ბრუნშტიინს ვუთხარი, რომ ბევრი არ იზარებს მის მისნობას, მან სიცოლით მიამახუბა:

— დაე, ცხოვრებამ განსაზღვროს!

მ. გიორგაძე, (ჩვენი სპეც. კორ.) მოსკოვი — თბილისი.

